ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის
საბჭოს 30.04.10 სხდომის

**ოქმი №4**

სხდომას ესწრებოდა: საბჭოს 72 წევრთაგან 35.

დღის წესრიგი:

1. ფაკულტეტის დებულების განხილვა
   მომხსენებელი: თ. დოლბაია
2. სტუდენტური თვითმმართველობისა და საბჭოს წევრის თეონა ლავრელაშვილის ანგარიში გაწეული მუშაობისა და იტალიაში მივლინების შესახებ
3. მიმდინარე საკითხები
   - რექტორის ბრძანება დეკანის არჩევნებთან დაკავშირებით
   - როტაციის შესახებ
   - სტუდენტური თვითმმართველობის თავმჯდომარის კოკი ნახუცრიშვილის განცხადება
   - სამაგისტრო ნაშრომების დაცვის ვადების განსაზღვრა

მოისმინეს: 1. ფაკულტეტის დებულების პროექტის განხილვა.
პროექტი ერთი კვირით ადრე ელექტრონული ფოსტით დაეგზავნა საბჭოს წევრებს. მიღებული შენიშვნები და კომენტარები დამსწრეთ გააცნო თ. დოლბაიამ.
აზრი გამოთქვეს: გ. გოროშიძემ, ნ. დონაძემ და მ. ჩიტაშვილმა, რომელმაც მოითხოვა დებულებაზე მომუშავე მუშა ჯგუფის შექმნა.
დაადგინეს: 1. შეიქმნას ფაკულტეტის დებულებაზე მომუშავე ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით: მ. ჩიტაშვილი, გ. გოროშიძე, დ. ნადირაშვილი, ნ. დურგლიშვილი, თ. დოლბაია.
მოისმინეს: 2. სტუდენტური თვითმმართველობისა და საბჭოს წევრის თეონა ლავრელაშვილის ანგარიში გაწეული მუშაობისა და იტალიაში მივლინების შესახებ.
აზრი გამოთქვეს: ზ. ერაგიამ, ნ. მაჭარაშვილმა, რომელიც დაინტერესდა ფაკულტეტისგან აღმოჩენილი დახმარების რაობით.
დაადგინეს: მიღებულ იქნას ცნობად თ. ლავრელაშვილის ანგარიში გაწეული მუშაობისა და მივლინების შესახებ და გამოითქვა სურვილი დაინერგოს პრაქტიკაში პროფესორთა და სტუდენტთა ანგარიშგების სისტემა.

მოისმინეს: მიმდინარე საკითხები:

- რექტორის ბრძანება №43/01-01 26.04.10 დეკანის არჩევნებთან დაკავშირებით დამსწრეთ გააცნო თ. დოლბაიამ. ბრძანებით არჩევნების დღედ დანიშნულია 2010 წლის 14 მაისი.
- სტუდენტთა როტაციის შესახებ უკმაყოფილება გამოთქვა თ. თარხნიშვილმა. მას განემარტა, რომ საბჭოს რეგლამენტით განსაზღვრულია საბჭოდან გარიცხვა ზედიზედ 4 გაცდენის შემთხვევაში; ის სტუდენტები კი, რომლებიც გაირიცხნენ, 14 სხდომის განმავლობაში არც ერთს არ დასწრებიან. ესენია: ი. ზარნაძე, ა. ბეჟანიშვილი, ი. დარბაიძე, ვ. კუჭუხიძე, ე. წერეთელი.
- სტუდენტური თვითმმართველობის თავმჯდომარემ კოკი ნახუცრიშვილმა სტუდენტთა სახელით გააკეთა განცხადება და ასისტენტ პროფესორთა საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილების ობიექტურობა ეჭვის ქვეშ დააყენა, რადგანაც მათთვის საყვარელი 3 ლექტორი (გ. აბესაძე, ვ. დოლიძე, ა. ტუკვაძე ) კონკურსში ვერ გავიდა. უკმაყოფილება კომისიის წევრებისა და შეფასების კრიტერიუმების მიმართ გამოთქვა თავად ვ. დოლიძემაც.

  სტუდენტებისა და კოლეგების კითხვებს უპასუხეს კომისიის წევრებმა: მ. მაცაბერიძემ, რ. ჯორბენაძემ, ნ. მაჭარაშვილმა.
- სამაგისტრო მაშრომების დაცვის ვადებად განისაზღვროს 20 ივნისი – 20 ივლისი.

საბჭოს თავმჯდომარე: პროფესორი ნ. ბელქანია

საბჭოს მდივანი: ასოცირებული პროფესორი თ. დოლბაია

30 ივნისი,

ფაკულტეტის საბჭოს წევრთა სია

ფსიქოლოგიის მიმართულება

1. ბელქანია ნოდარ
2. გაგოშიძე თამარ
3. მაღრაძე გუგული
4. ჩიტაშვილი მარინე
5. წერეთელი მზია
6. ჯავახიშვილი ნინო
7. აბაშიძე თამარ
8. აბზიანიძე შალვა
9. არუთინოვა ლუიზა
10. კუტალაძე ია
11. მელიქიშვილი მანანა
12. ნადირაშვილი დიმიტრი
13. ქიტიაშვილი ანასტასია
14. ყიფიანი გიორგი
15. ჯორბენაზე რევაზ
16. ბაინდურაშვილი ნუგზარ
17. გოროშიძე გიორგი
18. დესპოტაშვილი მედეა
19. კვანჭილაშილი ელენე
20. მამუკაძე შორენა
21. ფირცხალავა ეკატერინე

პოლიტიკური მეცნიერება

1. მაცაბერიძე მალხაზ
2. ~~აბესაძე გურამ~~
3. კუხიანიძე ალექსანდრე
4. მაჭარაშვილი ნანა
5. ჟორჟოლიანი გია
6. აბაშიძე ზვიად
7. ~~დოლიძე ვალერიან~~
8. დუნდუა სალომე

## საერთაშორისო ურთიერთობები

1. დავითაშვილი ზურაბ
2. რონდელი ალექსანდრე
3. კაპანაძე სერგი

## საზოგადოებრივი გეოგრაფია

1. გოგსაძე გიორგი
2. სალუქვაძე იოსებ
3. ბოკერია მარინა
4. მელიქიძე ვალერიან
5. პავლიაშვილი ნინო
6. დოლბაია თამარ
7. კვინიკაძე გიორგი
8. ხუციშვილი მარი

## სოციოლოგია

1. კაჭკაჭიშვილი იაგო
2. ბერძენიშვილი ამირან
3. დურგლიშვილი ნინო
4. სურმანიძე ლალი
5. წულაძე ლია
6. დონაძე ნათელა
7. ბურძენიძე მარინა

## ჟურნალისტიკა

1. ვაშაყმაძე მარინა
2. იბერი ელდარ
3. ოსეფაშვილი დალი
4. ჩართოლანი გიორგი
5. წერეთელი მარი
6. კაჭარავა ხათუნა
7. ლომიძე ელზა
8. ლომიძე მარინე
9. ტორაძე მაია
10. ღვინერია ირინა
11. ჩარკვიანი ხათუნა
12. ჭალაგანიძე ნინო

სტუდენტური თვითმმართველობა

1. ალიმბარაშვილი ნანი
2. ბარამიძე ნინო sharlotas@gmail.com
3. ~~ბუყანიშვილი ანა~~
4. გოგსაძე საბა
5. ~~დარბაიძე ი.~~
6. ერაგია ბაქარ
7. ~~ზარნაძე ი.~~
8. თარხნიშვილი თინათინ
9. თორია ლევან
10. კობახიძე ნიკოლოზ
11. კურდღელაშვილი ანა
12. ~~კუჭუხიძე გახილ~~
13. ლავრელაშვილი თეონა
14. მურღულია ცოტნე
15. ნახუცრიშვილი კონსტანტინე
16. ტარასაშვილი მარიამ
17. ცქიტიშვილი თამარ
18. ~~წერეთელი ელენე~~
19. ჭანტურია გიორგი

## მაგისტრატურასთან დაკავშირებული საკითხები, რომელიც უნდა დაამტკიცოს ფაკულტეტის საბჭომ

სამაგისტრო თემების დაფიქსირება IV (დამამთავრებელი) სემესტრის მაგისტრანტებისთვის სავალდებულოა 2010 წლის 10 მაისამდე.

სამაგისტრო ნაშრომის დაცვა უნდა შედგეს 2010 წლის 15 იდან – 30 ივლისამდე.

სამაგისტრო ნაშრომის დაცვამდე სავალდებულოა აპრობაცია ( ანუ სამაგისტრო თემის წინასწარი დაცვა), რომლის გაფორმება ხდება ინდივიდუალური ოქმით თითოეულ მაგისტრანტზე (ისევე როგორც სამაგისტრო ნაშრომის დაცვის დროს).

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 29 მაისის №490 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტისა და აკადემიური საბჭოს 2009 წლის 19 ოქტომბრის №295 დადგენილებით მიღებული და წარმომადგენლობითი საბჭოს 2009 წლის 23 ოქტომბრის №22 სხდომის გადაწყვეტილებით დამტკიცებული „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დეკანების არჩევის წესის" 1-ლი მუხლის მე-7 პუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დაინიშნოს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის არჩევნები 2010 წლის 14 მაისს.
2. დაევალოს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიასა და სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საარჩევნო კომისიას არჩევნების ჩატარების უზრუნველყოფა.
3. ბრძანება საჯარო გაცნობის მიზნით გამოიკრას თვალსაჩინო ადგილას და განთავსდეს თსუ ოფიციალურ ვებ-გვერდზე.
4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

**რექტორი, პროფესორი გიორგი ხუბუა**

N 43/01-01
26.04.10

N 41/2010
19